© UNICEF/NYHQ2009-0870/SOKOL

ბავშვთა უფლებები და ბიზნესის პრინციპები

12345678910

unicef

THE GLOBAL COMPACT

Save the Children

© UNICEF/NYHQ2008-1775/PIROZZ

შესავალი

გლობალური მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს 18 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ. ბევრ ქვეყანაში ბავშვები და ახალგაზრდები ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქმნიან. შესაბამისად, გარდაუვალია, რომ ბიზნესს, იქნება ეს დიდი თუ მცირე ბიზნესი, პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა აქვს ბავშვთა ცხოვრებაზე. ბავშვები ბიზნესის მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან - როგორც მომხმარებლები, თანამშრომლების ოჯახის წევრები, ახალგაზრდა მუშაკები და მომავალი დამსაქმებლები თუ ბიზნეს ლიდერები. ამავე დროს, ბავშვები არიან იმ საზოგადოების და გარემოს ძირითადი წევრები, სადაც ბიზნესი ახორციელებს საქმიანობას.

იმ ფონზე, რომ საზოგადოება და მთავრობა ბიზნესის როლს სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ და სულ უფრო იზრდება ცნობიერება ბიზნესსა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირის შესახებ, დროა განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ბიზნესის ზეგავლენაზე ბავშვებზე. ბავშვები არიან საზოგადოების ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი წევრები; ამას ისიც ადასტურებს, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ხმა საზოგადოებაში. მათ იშვიათად აძლევენ აზრის გამოხატვის საშუალებას ან ეკითხებიან რჩევას, როცა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები მიიღება, თუნდაც ეს გადაწყვეტილებები მათზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენდეს, მაგ. როდესაც გადაწყვეტილება შეეხება სკოლებისა და რეკრეაციული სივრცეების დაგეგმვას. თუმცა, თუ მათ აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა, ბავშვებმა აჩვენეს, რომ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ალტერნატიული შეხედულებები გამოთქვან და შეიტანონ საკმაოდ ღირებული წვლილი.

ბიზნესის ზეგავლენა ბავშვებზე გრძელვადიანი და ხშირად შეუქცევადია. ბავშვობა არის სწრაფი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების უნიკალური პერიოდი, რომლის დროსაც ახალგაზრდა ადამიანების ფიზიკური, გონებრივი და ემოციური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა შეიძლება მუდმივად შეიცვალოს უკეთესობისკენ ან უარესობისკენ. სათანადო საკვები, სუფთა წყალი, ზრუნვა და სიყვარული ბავშვის განვითარების წლებში არსებითად მნიშვნელოვანია მისი გადარჩენისა და ჯანმრთელობისათვის.

ბავშვებზე ყოველდღიური საფრთხეებიც კი განსხვავებულ და უფრო მძიმე ზეგავლენას ახდენს, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებზე. ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, ბავშვი დამაბინძურებელი ნივთიერებების გაცილებით უფრო მაღალ ოდენობას ისრუტავს, ვიდრე ზრდასრული, აქედან გამომდინარე, მისი იმუნური სისტემა უფრო დაუცველია.

ბიზნესის მიერ დასაქმებული ან ბიზნესის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბავშვები ხშირად უჩინარნი არიან. აღნიშნულის ტიპური მაგალითია, მიწოდების ჯაჭვში არაკანონიერად მომუშავე ბავშვები, ბავშვები კომპანიის შენონებში და მათ ირგვლივ, თანამშრომლების სახლებში შინა მოსამსახურეებად მომუშავე ბავშვები, ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი ბავშვები, დაპატიმრებული და უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაკავებული ბავშვები და მიგრანტი მუშაკების სახლში დარჩენილი ბავშვები.

ამ დრომდე, ბიზნესის მიერ ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარებისას ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ბავშვთა შრომის პრევენციასა და აღკვეთაზე. „ბავშვთა უფლებები და ბიზნესის პრინციპები", გარდა იმისა, რომ ითვალისწინებს ბავშვთა შრომის პრევენციისა და აღკვეთის სტანდარტებსა და ღონისძიებებს, ამავე დროს ხაზს უსვამს მთელ რიგ სხვადასხვა გარემოებას, რომელშიც ბიზნესი ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. ეს მოიცავს ბიზნესის მთელ საქმიანობას, როგორიცაა პროდუქტები და სერვისები, ბაზარზე განთავსების მეთოდები და დისტრიბუციის პრაქტიკა და ამავე დროს, ბიზნესის ურთიერთობები ეროვნულ და ადგილობრივ მთავრობასთან და ინვესტიციები ადგილობრივ თემებში.

ბავშვთა უფლებების პატივისცემა და მხარდაჭერა ბიზნესისგან მოითხოვს როგორც ზიანის პრევენციას, ისე ბავშვის ინტერესების აქტიურ დაცვას. თუ ბიზნესი შეძლებს ბავშვთა უფლებების პატივისცემისა და მხარდაჭერის თავის ძირითად სტრატეგიებში და ოპერაციებში ასახვას, იგი გააძლიერებს კორპორაციულ მდგრადობას და ამავე დროს უზრუნველყოს სარგებელს საკუთარი ბიზნესისთვის. ამგვარი ძალისხმევა ხელს უწყობს რეპუტაციის შექმნას, აუმჯობესებს რისკის მართვას და უზრუნველყოფს „სოციალურ ლიცენზიას საქმიანობისათვის". ბავშვის მიმართ აღებული ვალდებულება ბიზნესს ეხმარება მოტივირებული სამუშაო ძალის აყვანასა და შენარჩუნებაში. თანამშრომლების მხარდაჭერა, რომ შეასრულონ საკუთარი როლი როგორც მშობლებმა და მზრუნველებმა, ახალგაზრდობის დასაქმება და ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა - მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯია, რაც ბიზნესს შეუძლია გადადგას. თუ ბიზნესი გაითვალისწინებს რამდენად აკმაყოფილებს მისი პროდუქცია და სერვისები ბავშვთა საჭიროებებს, ესეც იქნება ერთგვარი ინოვაციის წყარო და შექმნის ახალ ბაზრებს. და ბოლოს, ბავშვებისთვის ზრუნვა ხელს უწყობს ძლიერი, განათლებული საზოგადოების შექმნას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ბიზნეს გარემოსთვის.

„ბავშვთა უფლებები და ბიზნესის პრინციპები" წარმოადგენს სრულყოფილ ჩარჩოს ბავშვთა უფლებებზე და კეთილდღეობაზე ბიზნესის ზეგავლენის გასაცნობიერებლად და გადასაჭრელად. ორგანიზაციები Save the Children, UN Global Compact და UNICEF იმედოვნებენ, რომ ეს „პრინციპები" გახდება ერთგვარი ინსპირაცია და გზამკვლევი ბიზნესებისთვის ბავშვებთან ურთიერთობისას.

12345678910

ბავშვთა უფლებები და ბიზნესის პრინციპები



© UNICEF/NYHQ2011-1404/PAGE

„ბავშვთა უფლებები და ბიზნესის პრინციპები" განსაზღვრავს ბიზნესის მიერ ბავშვთა უფლებების პატივისცემისა და მხარდაჭერისთვის აუცილებელ მოქმედებებს. ბავშვთა უფლებები განსაზღვრულია გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციაში", შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში No. 138 „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ" და No. 182 „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ". ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს პრინციპს, რომ „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას..... ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი განხილვის საგანი".

ამ „პრინცპების" შესრულებისთვის, ნებისმიერი ბიზნესის ქმედებები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით - სხვათა უფლებების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, დარღვევის თავიდან აცილება და ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის აღმოფხვრა. პატივისცემასთან დაკავშირებული კორპორაციული პასუხისმგებლობა შეეხება საკუთრივ ბიზნესის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს და ამავე დროს, საქმიან ურთიერთობებს, რომელიც დაკავშირებულია მის ოპერაციებთან, პროდუქტებთან თუ სერვისებთან.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით - ადამიანის უფლებების პატივისცემასთან ერთად, მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების ხელშეწყობას, ძირითადი ბიზნეს საქმიანობის, სტრატეგიული სოციალური ინვესტიციებისა და ქველმოქმედების, ადვოკატირებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკაში ჩართულობის, ასევე პარტნიორული და სხვა კოლექტიური ქმედებების მეშვეობით.

ბავშვთა უფლებების პატივისცემა არის ყველაზე მინიმალური რაც ბიზნესს მოეთხოვება, ხოლო ბავშვთა უფლებების მხარდაჭერისთვის ნაბიჯების გადადგმა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არ მოეთხოვება - წახალისებულია. „ბავშვთა უვლებებისა და ბიზნესის პრინციპების" თითოეული პრინციპი განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების პატივისცემის ქმედებებს და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის ქმედებებს.

წინამდებარე დოკუმენტში, ფრაზა „ბავშვთა უფლებები" არის „ბავშვთა ადამიანის უფლებების" სინონიმი.

ტერმინების განმარტება

ბავშვის/ბავშვთა და ბიზნესის გარდა, პუბლიკაციაში შემდეგი ტერმინები დახრილი შრიფტით არის მოცემული.

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები – „ბავშვის უფლებათა კონვენციის" ოთხი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთი. იგი შეეხება ბავშვთან დაკავშირებულ ყველა მოქმედებასა და გადაწყვეტილებას და მოუწოდებს აქტიური ქმედებისკენ, რომელიც ითვალისწინებს მათი უფლებების პატივისცემას, ბავშვების გადარჩენის, ზრდისა და კეთილდღეობის ხელშეწყობას, მშობლებისა და სხვა ადამიანების, ვისაც ბავშვთა უფლებების რეალიზების ყოველდღიური პასუხისმგებლობა აკისრიათ, მხარდაჭერასა და დახმარებას.

ბიზნესი – მოგებაზე ორიენტირებული საწარმო/კომპანია.

საქმიანი ურთიერთობა – ურთიერთობები, რომელიც ბიზნესს აქვს ბიზნეს პარტნიორებთან, ღირებულებათა ჯაჭვის სხვა რგოლებთან და ნებისმიერ სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებასთან, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ბიზნეს საქმიანობასთან, პროდუქტებსა თუ სერვისებთან. ეს მოიცავს არაპირდაპირ საქმიან ურთიერთობებს საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში, პირველი დონის მიღმა და ასევე, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, ურთიერთობებს აქციების როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის მფლობელებთან.

ბავშვთა შრომა – საქმიანობა, რომელიც ბავშვს ართმევს ბავშვობას, შესაძლებლობებსა და ღირსებას და მავნებელია მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. ეს მოიცავს ისეთ სამუშაოს, რომელიც ფსიქიკურ, ფიზიკურ, სოციალურ თუ მორალურ ზიანს აყენებს ბავშვს ან ხელს უშლის განათლების მიღებაში; სამუშაოში ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მინიმალურ ასაკამდე ბავშვების ჩართვა. დაუშვებელია 18 წლამდე ასაკის ბავშვის ჩართვა საფრთხის შემცველ სამუშაოში (სამუშაო, რომელიც დიდი ალბათობით დააზიანებს მის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას) და სხვა ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებში, როგორიცაა ტრეფიკინგი, სექსუალური ექსპლუატაცია, სავალო კაბალა, იძულებითი შრომა და არასრულწლოვანთა დასაქმება ან გამოყენება უსაფრთხოების ან სამხედრო მიზნებისათვის. ეს ასევე მოიცავს ბავშვთა შრომის გენდერულ ასპექტებსაც, კერძოდ, გოგონების ჩართვა ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა ოჯახში მუშაობა და სექსუალური ექსპლუატაცია. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები - No. 182 „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ" და No. 138 „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ". ასევე, „ბავშვის უფლებათა კონვენციის" დამატებითი ოქმები „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ" და „ბავშვების შეირაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ".

ბავშვთა მონაწილეობა – ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთი, რომელიც გულისხმობს ისეთ პროცესებს, რაც წაახალისებს და უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას, რათა მათ შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება. მონაწილეობა ასევე მოიცავს ინფორმაციის გაზიარებასა და დიალოგს ბავშვებსა და მოზრდილებს შორის, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემას და მიმდინარეობს თავისუფალი აზრის გამოხატვისთვის ხელსაყრელ გარემოში. ასეთი პროცესები უნდა იყოს ნამდვილი, ინკლუზიური და აზრიანი, უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების მზარდ შესაძლებლობებსა და უნარებს და ხელს უწყობდეს მათ, რომ ისწავლონ პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა სამყაროზე. სავალდებულო უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას ბავშვთა მოსაზრების გათვალისწინება — მათ შორის, გოგონებისა და ბიჭების, ყველაზე მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების, ასევე სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვების. ბავშვთა მოსაზრებას უნდა სცენ პატივი, მოისმინონ და გაითვალისწინონ ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც მათზე ახდენს ზეგავლენას.მონაწილეობა არ უნდა იყოს ფორმალური ან მოჩვენებითი და არ უნდა უნდა მოხდეს ბავშვის ექსპლუატაცია.

ბავშვთა დაცვის ქცევის კოდექსი – დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ბიზნესის დეტალური მოლოდინები იმ პირთა ქცევასთან მიმართებით, ვისაც სამუშაოს შესრულებისას პირდაპირი შეხება აქვს ბავშვებთან. ქცევის კოდექსი ხაზს უსვამს ბიზნესის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ბავშვთა ძალადობის, ექსპლუატაციისა და ემოციური ზიანის მიმართ. იგი ეფუძნება „ბავშვის უფლებათა კონვენციას" და მის დამატებით ოქმებს და შექმნილია ბავშვთა დასაცავად ძალადობის, ექსპლუატაციისა და ემოციური ზიანისაგან.

ბავშვი ან ბავშვები – „ბავშვის უფლებათა კონვენციის" პირველი მუხლი ბავშვს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი', თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას".

ღირსეული სამუშაო – გულისხმობს სამუშაოს, რომელიც არის ნაყოფიერი და სამართლიანად ანაზღაურებული. ღირსეული სამუშაო უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს სამსახურში და სოციალურ დაცვას ოჯახებისათვის, უფლებებს სამუშაო ადგილას, სოციალურ დიალოგს და პირადი განვითარებისათვის და სოციალური ინტეგრაციისათვის უკეთეს პერსპექტივებს. ადამიანებს, მათ შორის, სამუშაო ასაკს მიღწეულ ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ჩივილების გამოხატვის თავისუფლება და მათ ცხოვრებაზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის და თანასწორი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უფლება. საგანგებო სიტუაციები– ვითარება, სადაც ბავშვის სიცოცხლეს, ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას და განვითარების შესაძლებლობებს საფრთხე ექმნება შეიარაღებული კონფლიქტის, ფართოდ გავრცელებული ძალადობის, ეპიდემიის, შიმშილის, ბუნებრივი კატასტროფის ან სოციალური თუ სამართლებრივი წესრიგის დარღვევის გამო.

ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება – ბიზნესის უწყვეტი პროცესი, რომლის მიზანია საკუთარი საქმიანობის რეალური და პოტენციური ზეგავლენის შეფასება ადამიანის უფლებებზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებებზე; ამ შეფასების შედეგების გათვალისწინება და შესაბამისად მოქმედება; რეაგირებაზე დაკვირვება და კომუნიკაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ამ ზეგავლენასთან გამკლავება. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მხარდაჭერილ „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში".[1] ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება უნდა მოიცავდეს იმ უარყოფითი ზეგავლენის შეფასებას, რასაც ბიზნესი შეიძლება თავად ახდენდეს ან ხელს უწყობდეს საკუთარი საქმიანობით, ან რომელიც შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს მის ოპერაციებს, პროდუქტებსა და მომსახურებებს ბიზნესურთიერთობების გზით.
ადამიანის უფლებების სათანადო შეფასების განსახორციელებლად, თითოეული ბიზნესი ვალდებულია:

- დაადგინოს და შეაფასოს ნებისმიერი ფაქტიური ან პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა ბავშვთა უფლებებზე. ეს გულისხმობს ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჩართვას და გონივრულ კონსულტაციებს ბავშვებთან და სხვა პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. შეფასებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბიჭები და გოგონები შეიძლება განსხვავებული რისკების წინაშე იყვნენ.

[1] გაეროს ჩარჩო დოკუმენტის „დაცვა, პატივისცემა და ანაზღაურება" განხორციელება, რომელიც დანართად ერთვის გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ანგარიშს ადამიანის უფლებებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა ბიზნესსუბიექტების საკითხებზე (დოკუმენტი A/HRC/17/31), გაერო, 2011 წლის 21 მარტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: www.ohchr.org/documents/issues/business/A.HRC.17.31.pdf. აღნიშნული ჩარჩო დამტკიცებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დოკუმენტში A/HRC/RES/17/4.

- გაითვალისწინოს საკუთარი ზემოქმედების შეფასების შედეგები შესაბამის შიდა ფუნქციებსა და პროცესებში და მიიღოს შესაბამისი ზომები (როგორც ეს განსაზღვრულია „სახელმძღვანელო პრინციპებში"). იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი იწვევს ან ხელს უწყობს ბავშვთა უფლებებზე უარყოფით ზეგავლენას, ან არსებობს ამგვარი ზეგავლენის რისკი, მან უნდა გადადგას აუცილებელი ნაბიჯები რომ შეაჩეროს ან თავიდან აირიდოს აღნიშნული საქმიანობა ან მასში მონაწილეობა; გამოიყენოს საკუთარი ბერკეტები, რათა შეარბილოს ნებისმიერი დარჩენილი ზეგავლენა. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი დაკავშირებულია უარყოფით ზეგავლენასთან ბიზნესურთიერთობის მეშვეობით, მან უნდა გამოიყენოს საკუთარი ბერკეტი და გაითვალისწინოს სხვა შესაბამისი ფაქტორები, რათა განსაზღვროს შემდგომი სათანადო და აუცილებელი მოქმედებები.

- მონიტორინგი და კონტროლი განახორციელოს ბიზნესის საპასუხო ქმედებების ეფექტიანობაზე, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვზე უარყოფითი გავლენის მოხდენა აღარ გრძელდება. ამისათვის, ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები და შიდა და გარე წყაროებისგან მიღებული უკუკავშირი, მათ შორის, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ბავშვებისაგან, ოჯახებისა თუ სხვა მონაწილე მხარეებისაგან[2] . ბიზნესმა პერიოდულად[3] უნდა გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ხელშეკრულებების ეფექტურობის შეფასება და მიმოხილვები, კვლევები და აუდიტი (თვითშეფასებები ან დამოუკიდებელი აუდიტი).

- საჯაროდ განაცხადოს თუ რა ძალისხმევა განახორციელა რათა შეემცირებინა მისი ბიზნესის ზეგავლენა ბავშვთა უფლებებზე ისეთი ფორმითა და სიხშირით, რაც ასახავს ამგვარ ზეგავლენას და რომელიც ხელმისაწვდომია სამიზნე აუდიტორიისათვის. ბიზნესმა აუცილებელია უზრუნველყოს საკმარისი ინფორმაცია, რაც დაადასტურებს მისი საპასუხო ქმედებების სათანადოობას. ამგვარი კომუნიკაცია არ უნდა იყოს რისკის შემცველი ზეგავლენის ქვეშ მყოფი მონაწილე მხარეებისათვის, პერსონალისა თუ კომერციულ საიდუმლოსთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნებისათვის.

ზემოაღნიშნული პროცესები უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესის ზომასა და გარემოებებს და „სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ".

გავლენა (ბერკეტი)– ბიზნესის შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე უარყოფითი გავლენის მოხდენის მანკიერ პრაქტიკაში ცვლილებებზე, რომელსაც მხარე თავად იწვევს ან მონაწილეობს. როცა ბიზნესს გააჩნია ბერკეტი, რომ აღკვეთოს ან შეარბილოს ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის საქმიანობასთან, პროდუქციასა თუ სერვისებთან მისი ბიზნეს ურთიერთობების მეშვეობით, მან ეს ბერკეტი უნდა გამოიყენოს. თუ მას ასეთი ბერკეტი არ გააჩნია, უნდა მოიძიოს სხვა გზა, მაგალითად, შესაძლებლობების გაძლიერების ან სხვა წამახალისებელი ფაქტორების შეთავაზება, სხვა მოთამაშეებთან კოლაბორაცია. ბიზნესს აუცილებელია კარგად ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობები, როგორია ზეგავლენის სიმძიმე და ხომ არ მოახდენს ურთიერთობის შეწყვეტა უარყოფით ზეგავლენას ადამიანის უფლებებზე, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს „სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ" (მე-19 პრინციპი).

[2] იმ შემთხვევაში, როცა ზეგავლენის ქვეშ მყოფ მონაწილე მხარეებთან პირდაპირი კონსულტაცია შეუძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის (კანონიერი ფინანსური, გეოგრაფიული ან სხვა შეზღუდვების გამო), მან სასურველია მიმართოს დამოუკიდებელ გარე ექსპერტს, რომელსაც ორგანიზაციები სთავაზობენ ან ცალკეულ პირებს, რომელთაც კანონიერად შეუძლიათ გადმოსცენ იმათი პერსპექტივებს, ვიზეც შეიძლება გავლენას ახდენდეს საწარმოს საქმიანობა ან ურთიერთობები.

[3] მიმწოდებლებს რაც შეეხება, გარდა იმისა, რომ მათთან მკაფიო კომუნიკაცია უნდა მოხდეს ქცევასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე, ბიზნესს ასევე შეუძლია შესაძლებლობების გაძლიერების ძალისხმევის განხორციელება და სხვა ბიზნესებთან თანამშრომლობა, რათა გაზრდოს გავლენა. დამატებითი მითითებებისათვის, იხილეთ გაეროს გლობალური შეთანხმების დოკუმენტი „მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა": http://www.unglobalcompact.org/docs/issues_doc/supply_chain/SupplyChainRep_spread.pdf]

დისკრიმინაციის დაუშვებლობა – „ბავშვის უფლებათა კონვენციის" ოთხი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთი. იგი ითვალისწინებს ადამიანის თანასწორუფლებიან მოპყრობას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, სოციალური თუ ეთნიკური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა ვითარების განურჩევლად. მოკლედ რომ ვთქვათ ეს ნიშნავს, რომ ყველა ბავშვი, ყველა სიტუაციაში, ყველა დროში და ყველგან უნდა სარგებლობდეს იგივე უფლებებით და შეეძლოს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება.

პოლიტიკის განაცხადი – განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის პასუხისმგებლობას პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, მათ შორის, ბავშვთა უფლებებს, როგორც ეს აღწერილია სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. პოლიტიკის განაცხადს ადასტურებს ბიზნესის ხელმძღვანელობა და მასზე ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სპეციალისტებს. მასში აღნიშნულია ბიზნესის მოლოდინები საკუთარი თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პირების, პროდუქტებისა თუ სერვისების მიმართ. განაცხადი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, გაზიარებულია კომპანიის შიგნით და გარეთ და შეტანილია შესაბამის პოლიტიკასა თუ პროცედურებში. იგი ასევე შეიძლება შეიცავდეს ბიზნესის ვალდებულების განაცხადს, რომ მხარს უჭერს უფლებების დაცვას.

უფლების აღდგენა – ორივე პროცესი, ერთი როგორც ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა, ასევე არსებითი შედეგები, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედების განეიტრალება ან გამოსწორება. როდესაც ბიზნესი აღმოაჩენს, რომ მან გამოიწვია ან ხელი შეუწყო ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენას, მან უნდა უზრუნველყოს ამ ზიანის გამოსწორება ლეგიტიმური პროცესების მეშვეობით, მათ შორის, საოპერაციო დონეზე საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმების ან სასამართლო მექანიზმების მეშვეობით. შესაბამისად, საოპერაციო დონეზე, მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გოგონებისა და ბიჭებისთვის, მათი ოჯახებისა და მათი ინტერესების წარმომადგენლებისთვის. ეს მექანიზმები უნდა აკმაყოფილებდეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების 31-ე პრინციპში დადგენილ არასასამართლო საჩივრების მექანიზმების ეფექტურობის კრიტერიუმებს.

სიცოცხლის შენარჩუნება და განვითარება – ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთი აღიარებს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს ოპტიმალური პირობები ბავშვობის გასატარებლად. კერძოდ, ისეთი უფლებები, როგორიცაა სოციალური უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, სათანადო კვება და ცხოვრების სტანდარტი, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, განათლება, თავისუფალი დრო და თამაშის საშუალება, ეს ყველაფერი უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის ჯანსაღ განვითარებას. ძალადობისგან და ექსპლუატაციისაგან დაცვაც ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

ღირებულებათა ჯაჭვი – ბიზნესის ღირებულებათა ჯაჭვი მოიცავს საქმიანობას, რომელიც ნედლეულს პროდუქტებად აქცევს მისთვის ღირებულების დამატების გზით. იგი ასევე მოიცავს სუბიექტებს, ვისთანაც ა) ბიზნესს პირდაპირი ან ირიბი საქმიანი ურთიერთობა აქვს და ვინც მას აწვდის პროდუქტებს ან სერვისებს, რომელთაც ბიზნესის კუთვნილ პროდუქციასა თუ სერვისებში შეაქვს წვლილი; ან ბ) ბიზნესისგან იღებს პროდუქტებსა თუ სერვისებს.

ახალგაზრდა მუშაკი – ბავშვი, რომელიც მინიმალურ სამუშაო ასაკს ზემოთაა და ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს არის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ბავშვთა შრომად, თუ სამუშაო ან სამუშაო პირობები საფრთხის შემცველია.



“ჩვენ ახ ვახთ პრობლემის წყარო, ჩვენ ვახთ ხესუსი, ჰომელიც პრობლემის გადაჭრისთვისაა საჭირო. ჩვენ ახ ვახთ ხარჯი, ჩვენ ვახთ ინვესტიცია, ჩვენ ახ ვახთ მხოლოდ ახალგაზრდა ადამიანები, ჩვენ ვახთ ადამიანები და ამ სამყაროს მოქალაქეები.”

„ჩვენზე მორგებული სამყარო”. მესიჯი 2002 წლის ბავშვთა ფორუმიდან, გაეროს პეციალური სხდომა ბავშვების შესახებ.

ფაქტები ბავშვების შესახებ

- მსოფლიოში 18 წლამდე ასაკის 2.2 მილიარდი ბავშვია, რაც მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედია.;
- არასრულწლოვნები (ასაკობრივი ჯგუფი 10-19) წარმოადგენენ მთლიანი მოსახლეობის 18 პროცენტს;
- 1 მილიარდი ბავშვი მოკლებულია სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელ ერთ ან მეტ მომსახურებას;
- მსოფლიოს მასშტაბით, 15 წლამდე ასაკის ორ მილიონ ბავშვს აქვს იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV).
- 215 მილიონი ბავშვი ჩართულია ბავშვთა შრომაში;
- 101 მილიონი ბავშვი არ დადის დაწყებით სკოლაში.
- 51 მილიონ ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა.
- ბავშვების შესახებ მეტი სტატისტიკა, იხილეთ: http://www.childinfo.org/index.html

თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

1 შეასრულოს საკუთარი პასუხისმგებლობა, პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და აიღოს ბავშვების ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულება

2 წვლილი შეიტანოს ბავშვთა შრომის აღმოფხვრაში, მათ შორის, საკუთარ ბიზნეს საქმიანობაში და ბიზნეს ურთიერთობებში

3 ახალგაზრდებს, მშობლებს და მზრუნველებს შესთავაზოს ღირსეული სამუშაო

4 უზრუნველყოს ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება ბიზნეს საქმიანობის თითოეულ სფეროში და სამუშაო სივრცეში

5 უზრუნველყოს პროდუქტებისა და მომსახურებების უსაფრთხოება და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა მათი მეშვეობით

6 გამოიყენოს მარკეტინგი და რეკლამა, რომელიც პატივს სცემს და მხარს უჭერს ბავშვთა უფლებებს

7 პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ბავშვთა უფლებებს გარემოსთან, მიწის შეძენასა და სარგებლობასთან დაკავშირებით

8 პატივი სცეს და ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების დაცვას უსაფრთხოების ღონისძიებებში

9 დაეხმაროს საგანგებო სიტუაციებით დაზარალებულ ბავშვებს

10 გააძლიეროს საზოგადოებრივი და მთავრობების ძალისხმევა ბავშვის უფლებათა დასაცავად და განსახორციელებლად

პრეამბულა

ყველა ბავშვს აქვს უფლებები, ყველგან და ყოველთვის[4] და ყველა ბავშვის უფლება თანაბრად მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებულია. ბავშვთა უფლებებისა და ბიზნესის პრინციპები („პრინციპები") ბიზნესისგან მოითხოვს პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ბავშვთა უფლებებს ნებისმიერ ადგილას, სადაც საქმიანობას ახორციელებს და საქმიან ურთიერთობებს წარმართავს, მათ შორის, სამუშაო ადგილას, ბაზარზე, საზოგადოებასა და გარემოში. „პრინციპები" განსაზღვრავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც ბიზნესმა უნდა განახორციელოს ბავშვთა ადამიანის უფლებებზე ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად და მოსაგვარებლად; ასევე ზომებს, რომელთა გახორციელებაც წახალისებულია ბავშვთა უფლებების ხელშეწყობის მიზნით. „პრინციპები" უნდა იყოს მთავარი დოკუმენტი ბიზნესსა და ბავშვებთან დაკავშირებული არსებული და სამომავლო ნებაყოფლობითი და სხვა ინიციატივებისთვის და მან ხელი შეუწყოს მრავალმხრივ თანამშრომლობას. „პრინციპები" განკუთვნილია ყველა ბიზნესისთვის, იქნება ეს ტრანსნაციონალური თუ სხვა, მიუხედავად მათი ზომისა, სექტორისა, მდებარეობისა, კუთვნილებისა და სტრუქტურისა. პრინციპები ასევე მიზნად ისახავს სხვა საზოგადოებრივი აქტორების, მათ შორის, მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებას ბიზნესთან ურთიერთობის შესახებ.

სწრაფი ფიზიკური და ფიზიოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, ბავშვებს გააჩნიათ გადარჩენისა და განვითარების საჭიროებები, რომელიც ზრდასრულების საჭიროებებისგან განსხვავებულია. ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარეები არიან ძალადობის, ექსპლუატაციის და ცუდი მოპყრობის მიმართ, განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციებში. კლიმატის ცვლილებას და გარემოს დაბინძრებასაც უფრო სერიოზული და გრძელვადიანი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე, ზრდასრულებთან შედარებით. ამავე დროს, ბავშვებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ოჯახების, საზოგადოებისა და თემის ცხოვრებაში.

ბავშვები არიან ბიზნესის მთავარი მონაწილე მხარეები - როგორც მომხმარებლები, მომავალი დასაქმებულები და ბიზნეს ლიდერები; ასევე, იმ თემისა და გარემოს წევრები, სადაც ბიზნესი ახორციელებს საქმიანობას. აუცილებელია ბავშვების გაძლიერება, რათა მათ ჰქონდეთ ხმის უფლება გადაწყვეტილებებში, რომელიც მათზე ახდენს გავლენას, „ბავშვის უფლებათა კონვენციაში" განსაზღვრული ბავშვთა მონაწილეობის პრინციპის შესაბამისად.

„პრინციპები" წარმოშობილია საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბავშვთა უფლებებისგან, შესაბამისად ეს არ არის რაიმე ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება. კერძოდ, ისინი დაფუძნებულია ბავშვის უფლებათა კონვენციაში და მის დამატებით ოქმებში განსაზღვრულ უფლებებზე. კონვენცია არის ყველაზე ფართოდ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება: 193 ქვეყანა არის დღესდღეობით „ქვეყანა მხარე" (მთავრობები, რომელთაც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია აქვთ კონვენცია). „პრინციპები" ასევე დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებზე - No. 182 „ბავშვის შრომის ყველაზე ცუდი ფორმები" და No.138 მინიმალური ასაკის შესახებ5.

„პრინციპებში" ასევე მოცემულია ბიზნესისთვის გაწერილი მოქმედი სტანდარტები, როგორიცაა გაეროს გლობალური შეთანხმების „ათი პრინციპი"[6] და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამტკიცებული „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების" შესახებ.

მთავრობას ყველა დონეზე გააჩნია ვალდებულება დაიცვას, პატივი სცეს და განახორციელოს ბავშვთა უფლებები. თუმცა, საზოგადოების ყველა მოთამაშემ, ბიზნესის ჩათვლით, აუცილებელია დაიცვას მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა და დაიცვას ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები. საერთაშორისო საზოგადოების მოწოდებაზე რომ საზოგადოების თითოეული წევრი უნდა შეუერთდეს გლობალურ მოძრაობას, რომელიც ბავშვებისთვის შექმნის მათზე მორგებულ სამყაროს, საპასუხოდ, „პრინციპები" ხაზს უსვამს ბიზნესის როლს ბავშვთა უფლებების პატივისცემისა და მხარდაჭერის კუთხით[7].

„პრინციპებში" არცერთი პუნქტი არ ამართლებს მოქმედ სტანდარტებზე უფრო დაბალი სტანდარტების გამოყენებას კონკრეტულ ქვეყანაში ან საერთაშორისო კანონმდებლობით. „პრინციპები" მომზადდა ბავშვებთან, ბიზნესთან, ინვესტორებთან, პროფესიულ კავშირებთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მთავრობებთან, აკადემიურ წრეებთან, გაეროს უწყებებთან, ბავშვთა უფლებების ექსპერტებთან და ბიზნეს ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე.

©SAVE THE CHILDREN

[4] ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი', თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას".

[5] სხვა საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც შესაბამისი დებულებები აქვთ, მიეკუთვნება „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (1979), კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" (2006) და გაეროს „დეკლარაცია მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ" (2007). გაეროს ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევა (2006) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საცნობარო დოკუმენტია.

[6] იხილეთ: www.unglobalcompact.org

[7] ბავშვებზე მორგებული სამყარო (2002 წ.). იხილეთ ასევე , „A World Fit for Children Plus 5" (2007).

1 თითოეული ბიზნესი ვალდებულია→→→

“ნუ გვიყენებთ ჩვენ გთხოვთ იყავით უფრო პასუხისმგებლიანი; ნუ დაგვეხმარებით მხოლოდ იმიტომ რომ გეცოდებით; პირიქით, დაგვეხმარეთ, რადგან ამას ვიმსახურებთ. ჩვენ ვყიდულობთ თქვენს პროდუქტებსა და სერვისებს, თუმცა ამასთან გთხოვთ ინვესტიციას ჩვენს განვითარებაში. არ გვინდა საჩუქრები, თქვენგან მხოლოდ მეტი პასუხისმგებლობა გვინდა.”

ახალგაზრდა პერუში, „ბავშვთა მონაწილეობა CSR-ში’, 2010 წ., Save the Children.

© UNICEF/NYHQ2011-1157/HoLT

რა უნდა გააკეთოს ბიზნესმა:

ა. აღიაროს ბავშვთა უფლებების განმაპირობებელი ძირითადი პრინციპები ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, რომელიც ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე და ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მთავრობებმა, მშობლებმა, საზოგადოებამ და კერძო სექტორმა, როცა ბავშვებთან დაკავშირებით რაიმე ქმედებას ახორციელებენ. კერძოდ, ეს პრინციპებია: **ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბავშვის მონაწილეობა და სიცოცხლის შენარჩუნება/განვითარება.**

ბ. ბავშვთა უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობის შესრულება ეს გულისხმობს ბავშვთა უფლებების დარღვევის თავიდან აცილებას და ბავშვთა უფლებებზე ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენის აღმოფხვრას, თუ ამაში ბიზნესია ჩართული. ბავშვის უფლებათა პატივისცემის კორპორაციული პასუხისმგებლობა შეეხება ბიზნესის კუთვნილ საქმიანობას და ასევე, მის **საქმიან ურთიერთობებს**, მათ შორის და არა მარტო, იმ ღონისძიებებს და ურთიერთობებს, რომლებიც შემდგომ „პრინციპებშია” განსაზღვრული.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის დასაკმაყოფილებლად, ყველა ბიზნესმა აუცილებელია აამოქმედოს სათანადო პოლიტიკა და პროცესები, როგორც ეს განსაზღვრულია „სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ”, რომელიც დამტკიცებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ.[8]

ეს მოიცავს:

i. პოლიტიკის განაცხადი: განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის პასუხისმგებლობას პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, ბავშვთა უფლებების ჩათვლით, როგორც ეს განსაზღრულია „სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ”. პოლიტიკის განაცხადი აუცილებელია დაამტკიცოს ბიზნესის ყველაზე მაღალმა მმართველმა რგოლმა და მასზე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს თანამშრომლებს. განაცხადში უნდა იყოს გათვალისწინებული პერსონალის, მისი ბიზნეს პარტნიორებისა და საქმიანობასთან, პროდუქტებთან და სერვისებთან დაკავშირებული ყველა სხვა პირის, მოლოდინები. განაცხადი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, შიდა და გარე დონეზე გავრცელებული და შესაბამის პოლიტიკასა და პროცედურებში ასახული. იგი შეიძლება ასევე მოიცავდეს ბიზნესის ვალდებულების შესახებ განაცხადს ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის შესახებ

ii. ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება: ბიზნესის უწყვეტი პროცესი, რომლის მიზანია საკუთარი საქმიანობის არსებული და პოტენციური ზეგავლენის შეფასება ადამიანის უფლებებზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებებზე; ამ შეფასების შედეგების გათვალისწინება და შესაბამისად მოქმედება; რეაგირებაზე დაკვირვება და კომუნიკაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ამ ზეგავლენასთან გამკლავება. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მხარდაჭერილ „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში“.**ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება უნდა** მოიცავდეს იმ უარყოფითი ზეგავლენის შეფასებას, რასაც ბიზნესი შეიძლება თავად ახდენდეს ან ხელს უწყობდეს საკუთარი საქმიანობით, ან რომელიც შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს მის ოპერაციებს, პროდუქტებსა და მომსახურებებს ბიზნესურთიერთობების გზით.

[8] ახელმძღვანელო პრინციპები „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ’’: გაეროს „დაცვის, პატივისცემისა და უფლებების აღდგენის“ ჩარჩოს განხორციელება“, როგორც ეს თან ერთვის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ანგარიშს ადამიანის უფლებებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს საწარმოების საკითხებზე, A/HRC/17/31, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2011 წლის 21 მარტი, ხელმისაწვდომია www.ohchr.org/documents/issues/business/A.HRC.17.31.pdf-ზე. მოწონებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ A/HRC/RES/17/4-ში.

შეასრულოს საკუთარი პასუხისმგებლობა, პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და აიღოს ბავშვების ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულება

© UNICEF/NYHQ2011-1388/Page

ადამიანის უფლებების სათანადო შეფასების განსახორციელებლად, თითოეული ბიზნესი ვალდებულია:

- დაადგინოს და შეაფასოს ნებისმიერი არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა ბავშვთა უფლებებზე. ეს გულისხმობს ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჩართვას და გონივრულ კონსულტაციებს ბავშვებთან და სხვა პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. შეფასებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბიჭები და გოგონები შეიძლება განსხვავებული რისკების წინაშე იყვნენ.

- გაითვალისწინოს საკუთარი ზემოქმედების შეფასების შედეგები შესაბამის შიდა ფუნქციებსა და პროცესებში და მიიღოს შესაბამისი ზომები (როგორც ეს განსაზღვრულია „სახელმძღვანელო პრინციპებში’’). იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი იწვევს ან ხელს უწყობს ბავშვთა უფლებებზე უარყოფით ზეგავლენას, ან არსებობს ამგვარი ზეგავლენის რისკი, მან უნდა გადადგას აუცილებელი ნაბიჯები რომ შეაჩეროს ან თავიდან აირიდოს აღნიშნული საქმიანობა ან მასში მონაწილეობა; გამოიყენოს საკუთარი ბერკეტები, რათა შეარბილოს ნებისმიერი დარჩენილი ზეგავლენა. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი დაკავშირებულია უარყოფით ზეგავლენასთან ბიზნესურთიერთობის მეშვეობით, მან უნდა გამოიყენოს საკუთარი ბერკეტი და გაითვალისწინოს სხვა შესაბამისი ფაქტორები, რათა განსაზღვროს შემდგომი სათანადო და აუცილებელი მოქმედებები.

- მონიტორინგი და კონტროლი განახორციელოს ბიზნესის საპასუხო ქმედებების ეფექტიანობაზე, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვზე უარყოფითი გავლენის მოხდენა აღარ გრძელდება. ამისათვის, ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები და შიდა და გარე წყაროებისგან მიღებული უკუკავშირი, მათ შორის, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ბავშვებისგან, ოჯახებისა თუ სხვა მონაწილე მხარეებისგან2 . ბიზნესმა პერიოდულად3 უნდა გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ხელშეკრულების ეფექტურობის შეფასება და მიმოხილვები, კვლევები და აუდიტი (თვითშეფასებები ან დამოუკიდებელი აუდიტი).

- საჯაროდ განაცხადოს თუ რა ძალისხმევა განახორციელა რათა შეემცირებინა მისი ბიზნესის ზეგავლენა ბავშვთა უფლებებზე ისეთი ფორმითა და სიხშირით, რაც ასახავს ამგვარ ზეგავლენას და რომელიც ხელმისაწვდომია სამიზნე აუდიტორიისათვის. ბიზნესმა აუცილებელია უზრუნველყოს საკმარისი ინფორმაცია, რაც დაადასტურებს მისი საპასუხო ქმედებების სათანადოობას. ამგვარი კომუნიკაცია არ უნდა იყოს რისკის შემცველი ზეგავლენის ქვეშ მყოფი მონაწილე მხარეებისთვის, პერსონალისა თუ კომერციულ საიდუმლოსთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნებისთვის.

1 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

iii. ბავშვის მიმართ სენსიტიური პროცესები უფლებების აღსადგენად:

ბიზნიესის მიერ გამოწვეული ან მისი მონაწილეობით ბავშვთა უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის შემთხვევაში უფლებების აღდგენას. როდესაც ბიზნესი აღმოაჩენს, რომ მან გამოიწვია ან ხელი შეუწყო ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის გამოწვევას, მან უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების აღდგენა ლეგიტიმური პროცესების მეშვეობით, მათ შორის, საოპერაციო დონეზე საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმების ან სასამართლო მექანიზმების მეშვეობით, შესაბამისად. საოპერაციო დონეზე, მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გოგონებისა და ბიჭებისთვის, მათი ოჯახებისა და მათი ინტერესების წარმომადგენლებისათვის. ეს მექანიზმები უნდა აკმაყოფილებდეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების 31-ე პრინციპში დადგენილ არასასამართლო საჩივრების მექანიზმების ეფექტურობის კრიტერიუმებს.

გ. ბავშვთა ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულების აღება. ადამიანის უფლებების პატივისცემასთან ერთად, ბიზნესს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის თვალსაზრისით საკუთარ საქმიანობაში და **საქმიან ურთიერთობებში.** ეს შეიძლება იყოს ძირითადი ბიზნეს საქმიანობის გზით, სტრატეგიული სოციალური ინვესტიციების და ქველმოქმედების, ადვოკატირების და სახელმწიფო პოლიტიკის ჩართვით, პარტნიორებთან მუშაობით ან სხვა კოლექტიური ღონისძიებების გზით. ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის შესაძლებლობები ხშირად შესაძლებელია დადგინდეს ბიზნესის საწარმოს **ადამიანის უფლებათა სათანადო შეფასების** პროცესების გზით, მათ შორის, ბავშვებთან და მათ ოჯახებთან, ბავშვთა უფლებებში შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაციების მეშვეობით. მოხალისეობრივიქმედება ბავშვთა უფლებების მხარდასაჭერად უნდა იყოს დამატებითი და არა იმ ღონისძიებების ჩამნაცვლებელი, რომელიც ბავშვთა უფლებების პატივისცემას ითვალისწინებს. რაც მთავარია, აუცილებელია ბავშვთა უფლებების ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობა.

დ. ლიდერობა ბავშვთა უფლებების დაცვაში
ბიზნესი წახალისებულია ბავშვთა უფლებების, ამ „პრინციპების" და სხვა შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის დაცვაში, მათ შორის, მიმწოდებლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და სხვა ბიზნესებთან ურთიერთობისას.

შეასრულოს საკუთარი პასუხისმგებლობა, პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და აიღოს ბავშვების ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულება

© PLAYING FOR CHANGE

კარგი პრაქტიკა:
საჩივრის მექანიზმის შექმნა

საერთაშორისო კომპანიამ ითანამშრომლა ბავშვთა და ქალთა უფლებების არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რათა შეექმნა საჩივრების მექანიზმი ადგილობრივი მომწოდებელი ქარხნებისთვის ბანგლადეშში. არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონდა საკმარისი ექსპერტიზა ბავშვებთან და ქალებთან მუშაობის კუთხით და შესაბამისად მან შექმნა სანდო, ხელმისაწვდომი მექანიზმი, სადაც დასაქმებულ პირებს შეეძლოთ საჩივრების შეტანა. ეს იყო ერთგვარი ალტერნატიული, უსაფრთხო არხი, რომელსაც თანამშრომლები გამოიყენებდნენ ტანსაცმლის მწარმოებელ კომპანიასთან დასაკავშირებლად, რათა მიეწოდებინათ ინფორმაცია სამუშაო ადგილას არსებული პრობლემების შესახებ. სისტემამ უკვე საკმაოდ ღირებული უკუკავშირი მიიღო მუშაკებისაგან, რამაც მწარმოებელ კომპანიას გაუადვილა მომწოდებელი ქარხანა ჩაერთო უფლებების აღდგენაში.

2 თითოეული ბიზნესი ვალდებულია→→→

ბიზნესმა აუცილებლად უნდა იმუშაოს... იმაზე, რომ სათანადოდ გააცნობიეროს ადამიანის უფლებები და მისი საქმიანობის გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე.”

ახალგაზრდები პარაგვაიდან, ბავშვებთან კონსულტაციები „ბავშვთა უფლებების და ბიზნეს პრინციპების” ინიციატივის შესახებ, 2011 წ.

© SAVE THE CHILDREN

უფლებების პატივისცემის კორპორაციული პასუხისმგებლობა მოიცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციაში „სამუშაო ადგილას ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ” განსაზღვრული უფლებების პატივისცემას. ყველა ბიზნესი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი:

ა. ბავშვთა შრომის აღმოფხვრა

ნუ დაასაქმებთ ან გამოიყენებთ ბავშვებს რაიმე სახის ბავშვთა შრომაში. შექმენით ასაკის-გადამოწმების ძლიერი მექანიზმი, რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაოზე აყვანის პროცესში და დარწმუნდით, რომ ეს მექანიზმი ასევე გამოიყენება ღირებულებათა ჯაჭვში. აუცილებელია იცოდეთ ბავშვები არიან თუ არა სამუშაო ადგილას. სამუშაო ადგილიდან ბავშვების გაყვანისას, აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რაც დაიცავს ბავშვებს, ხოლო სადაც შესაძლებელია ღირსეული სამუშაო იქნება შეთავაზებული ზრდასრული ოჯახის წევრებისათვის. ნუ მოახდენთ ისეთ ზეწოლას მომწოდებლებზე, კონტრაქტორებსა და ქვე-კონტრაქტორებზე, რაც შეიძლება გახდეს ბავშვთა უფლებების დარღვევის მიზეზი.

ბ. ახალგაზრდა მუშაკებისათვის ზიანის თავიდან არიდება, ზიანის ფაქტების გამოვლენა და შერბილება და მათი დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც კრძალავს 18 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმებას, განსაკუთრებით, თუ მათ ამის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

თავიდან აირიდეთ ახალგაზრდა მუშაკებისთვის ზიანის მიყენება; გამოავლინეთ და შეამსუბუქეთ ზიანის ფაქტები და დაიცავით ახალგაზრდები ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც კრძალავს 18 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმებას, განსაკუთრებით, თუ მათ ამის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობა არ გააჩნიათ. დაიცავით ბავშვები რისკის შემცველი სამუშაოსგან, რაც დიდი ალბათობით დააზიანებს მათ ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და ზნეობას. თუ ბავშვი ასრულებს სახიფათო სამუშაოს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი საფრთხისშემცველი გარემოდან და უნდა იქნას დაცული ამგვარი ინტერვენციის შედეგად გამოწვეული შემოსავლის მიღების დაკარგვისგან. აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ სამუშაოზე აყვანის ასაკში მყოფი ბავშვები შეიძლება სამუშაო ადგილას სხვადასხვა რისკის წინაშე აღმოჩნდენ, უფროსებთან შედარებით, ხოლო გოგონებს სრულიად სხვა რისკები შეიძლება ჰქონდეთ ბიჭებთან შედარებით. პატივი ეცით ბავშვის უფლებას ინფორმაციის მიღებაზე, გაერთიანების თავისუფლებაზე, კოლექტიურ გარიგებებზე, მონაწილეობაზე, არადისკრიმინაციულობაზე, პირადი მონაცემების დაცვასა და ასევე, სამუშაო ადგილას ნებისმიერი სახის ძალადობისაგან დაცვაზე, იქნება ეს ფიზიკური, მენტალური თუ სხვა შეურაცხმყოფელი დასჯა, ბულინგი თუ სექსუალური ძალადობა.

მხარდაჭერის კორპორაციული ვალდებულება მოიცავს შემდეგს:

ა. მუშაობა მთავრობასთან, სოციალურ პარტნიორებთან და სხვებთან განათლებისა და მდგრადი გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა შრომის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას.

i. ითანამშრომლეთ სხვა ბიზნესებთან, საზოგადოებასთან, ბავშვთა უფლებების ორგანიზაციებთან, პროფესიულ კავშირებსადა მთავრობასთან, რათა ხელი შეუწყოთ ბავშვთა განათლებისა და მდგრადი გადაწყვეტილებების მიღებას და საბოლოო ჯამში, ბავშვთა შრომის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას;

ii. მხარი დაუჭირეთ ფართო საზოგადოების, ეროვნულ და საერთაშორისო ძალისხმევას ბავშვთა შრომის აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის, სოციალური მობილიზაციის და ცნობიერების ამაღლების კამპანიების თუ პროგრამების გზით. ეს პროგრამები შექმნილია და ხორციელდება ადგილობრივ თემთან და ბავშვებთან თანამშრომლობით.

წვლილი შეიტანოს ბავშვთა შრომის აღმოფხვრაში, მათ შორის, საკუთარ ბიზნეს საქმიანობაში და ბიზნეს ურთიერთობებში.

iii. ითანამშროლეთ სხვა კომპანიებთან, დარგობრივ ასოციაციებსადა დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან, რათა შემუშავდეს დარგობრივი მიდგომა ბავშვთა შრომის მიმართ; ურთიერთობები დაამყარეთ პროფესიულ კავშირებთან, ძალოვან სტრუქტურებთან, შრომის ინსპექტორებთან და სხვებთან.

iv. შექმენით (ან მონაწილეობა მიიღეთ) ბავშვთა შრომის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი ან კომიტეტი დამსაქმებელთა ორგანიზაციებში ადგილობრივ, სახელმწიფო ან ეროვნულ დონეზე.

v. მხარი დაუჭირეთ ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ეროვნული სამუშაო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, როგორც ძირითადი პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური მექანიზმების ნაწილს, რომელიც ბავშვთა შრომის დამარცხებას ითვალისწინებს ეროვნულ დონეზე.

vi. მონაწილეობა მიიღეთ პროგრამებში, რომელიც ახალგაზრდების დასაქმებას, უნარების განვითარებას და სამუშაო ადგილას გადამზადების შესაძლებლობას უზრუნველყოფს ახალგაზრდა მუშაკებისთვის, რომლებიც სამუშაოზე აყვანის მინიმალურ ასაკს გასცდნენ.

vii. წარმოების კონცენტრირება ფორმალურ ეკონომიკაში მოახდინეთ და თავიდან აირიდეთ საქმიანი გარიგებები, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს ბავშვთა შრომაში.

© SAVE THE CHILDREN

საუკეთესო პრაქტიკა:

ბავშვთა შრომის ძირეული მიზეზების გადაჭრა

სახლის ავეჯის მწარმოებელმა გლობალურმა კომპანიამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი მიდგომა მის მიწოდების ჯაჭვში ბავშვთა შრომის პრევენციის მიზნით. თუ დადგინდება ბავშვთა შრომის ფაქტი, მომწოდებლებს დახმარებას უწევენ მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. გეგმა ეფუძნება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის, ოჯახის, სოციალური გარემოს და განათლების დონის გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს, რომ რეაგირება არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ბავშვთა შრომის ერთი მომწოდებლის სამუშაო ადგილიდან მეორეში გადატანას, არამედ მან უნდა უზრუნველყოს უფრო სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი ალტერნატივები შრომაში ჩართული ბავშვებისთვის. 2000 წლიდან კომპანიამ დაამყარა გრძელვადიანი პარტნიორობა ბავშვთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან, რათა თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას ბავშვთა შრომა სოფლის თემებში, მათ შორის, მხარი დაუჭიროს მასშტაბურ პროგრამებს, რათა გაიზარდოს ცნობიერება და მობილიზდეს ადგილობრივი თემები სკოლაში ჩარიცხვისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც მიზნად ისახავს როგორც ბიჭების, ასევე გოგონების მიერ სწავლის დასრულებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია თვითდახმარების ჯგუფების ჩამოყალიბება სოფლად მცხოვრებ ქალებში, რაცმათ ეხმარება ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებაში კრედიტებსა და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებზე წვდომის გაუმჯობესებით. ეს ხელს უწყობს ვალის ტვირთის შემცირებას, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც ოჯახები შვილებს სამუშაოდ აგზავნიან.

3 თითოეული ბიზნესი ვალდებულია→→→

გადაუხადეთ ჩვენს მშობლებს საკმახისად, ხათა ბავშვებს ახ მოგვიწიოს სკოლიდან გამოსვლა.”

13 წლის ბიჭი ინდოეთიდან „ბავშვთა მონაწილეობა CSR-ში’, 2010, Save the Children.

© SAVE THE CHILDREN

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშრებით გულისხმობს შემდეგს:

ა. აღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა ახალგაზრდა მუშაკებისათვის

პატივი ეცით სამუშაოზე აყვანის მინიმალურ ასაკზე მაღლა მყოფი ბავშვების უფლებებს და ხელი შეუწყვეთ სოციალურ დიალოგს და უფლებებს სამუშაო ადგილას; შექმენით უსაფრთხო სამუშაო პირობები, დაიცავით ისინი ძალადობისა და ექსპლუაატაციისაგან; უზრუნველყავით მათთვის ხელმისაწვდომობა გენდერის შესაბამისი წყლის, სანიტარული და ჰიგიენური საშუალებებით.

ბ. საპასუხო რეაგირება სამუშაოზე აყვანის მინიმალურ ასაკზე მაღლა მყოფი ახალგაზრდა მუშაკების მოწყვლადობაზე

i. ყველა ბიზნესმა უნდა მიიღოს და დაამტკიცოსპოლიტიკა ბავშვებისა და ახალგაზრდა მუშაკების უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის მათი უფლება, იყვნენ დაცული ძალადობისა და შეურაცხყოფისგან. პოლიტიკამ უნდა დაიცვას რეგულარული სამუშაოსთვის მინიმალურ ასაკზე მეტი ასაკის ბავშვები სახიფათო სამუშაოსგან: სხვა საკითხებთან ერთად, იგი უნდა ითვალისწინებდეს სამუშაო საათების შეზღუდვას; სახიფათო სიმაღლეებზე მუშაობის შეზღუდვებს, ასევე სახიფათო დანადგარებთან, აღჭურვილობებთან და ხელსაწყოებთან მუშაობას; მძიმე ტვირთის გადაზიდვას; სახიფათო ნივთიერებებთან ან პროცესებთან შეხებას და ისეთ რთულ პირობებს, როგორიცაა ღამით მუშაობა ან სამუშაო, სადაც ახალგაზრდა მუშაკი არაგონივრულად არის ჩაკეტილი დამსაქმებლის შენობაში.[9] ამ პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა უნდა იყოს ინტეგრირებული და გაზიარებული ხელმძღვანელობის მიერ, თუმცა ბიზნესს შეუძლია გამოყოს კონკრეტული მენეჯერი, ვინც ზედამხედველობას გაუწევს ამ პროცესს.

ii. ბიზნესის პოლიტიკა შევიწროების შესახებ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ახალგაზრდა მუშაკების დაუცველობაზე. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს და თანამშრომლებმა და კომპანიის ტერიტორიაზე მყოფმა სხვა პირებმა უნდა გაიარონ შესაბამისი გადამზადება. საჩივრების განხილვის მექანიზმები უნდა იყოს ეფექტური და ასევე ხელმისაწვდომი ახალგაზრდა მუშაკებისთვის.

iii. ბიზნესმა შეიძლება მოითხოვოს ხელმძღვანელობისგან და წაახალისოს პროფკავშირები და მათი არჩეული წარმომადგენლები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა მუშაკების უფლებების დაცვას. პროფკავშირებმა შეიძლება აირჩიონ ახალგაზრდა მუშაკების წარმომადგენლები/მმართველები, რომლებიც მონიტორინგს განახორციელებენ სამუშაო პირობებზე; ეს შესაბამისი პროფკავშირის ავტონომიური გადაწყვეტილების საკითხია.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშრებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა ახალგაზრდა მუშაკებისთვის

ხელი შეუწყვეთ ღირსეული სამუშაოს შესაძლებლობების შექმნას ახალგაზრდა მუშაკებისათვის, მათ შორის, ასაკის შესაბამისი სოციალური დაცვა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და სერვისები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლება და შესაბამისი პროფესიული გადამზადება, საარსებო პირობების შესახებ პროგრამები და შესაძლებლობა რომ გამოიმუშაო ანაზღაურება ცხოვრებისთვის.

[9] დამატებითი მითითებებისათვის იხილეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ‘R190 Worst Forms of Child Labour Recommendation’, 1999, available at http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?R190

ახალგაზრდებს, მშობლებსა და მზრუნველებს შესთავაზოს ღირსეული სამუშაო

ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ეხმარება დასაქმებულ ადამიანებს, როგორც ქალებს, ისე კაცებს, რომ შეასრულონ მშობლისა და მზრუნველის როლი. სამართლებრივი შესაბამისობის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სამუშაო პირობებს, როგორიცაა ხელფასის გადახდა, სამუშაო საათების მოქნილობა, ფეხმძიმე და მეძუძური დედების დახმარება, დეკრეტული შვებულება, მიგრანტი და სეზონური მუშაკების დახმარება დისტანციურ მშობლობაში და ბავშვზე ზრუნვის, ჯანდაცვის და განათლების ხარისხიანი მომსახურებების უზრუნველყოფა დამოკიდებული ადამიანებისათვის.

© UNICEF/NYHQ2011-1601/LeMoyne

2009 წელს გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებულმა მულტინაციონალურმა კომპანიამ ჩინელ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორული ურთიერთობა დაიწყო, რათა ჩინეთის 10 პროვინციაში მიგრანტი მუშა მშობლების მიერ დატოვებული ბავშვებისთვის დახმარება გაეწია. მოლოდინია, რომ ეს ინიციატივა დაახლოებით 600 000 ოჯახს წაადგება. პროგრამის ფარგლებში, მშობლებსა და შვილებს შორის რეგულარული კომუნიკაციის გასაადვილებლად, გაიცემა სატელეფონო ბარათები, რომლებიც „სიყვარულის ბარათების“ სახელითაა ცნობილი. პროგრამა ასევე პრაქტიკულ მითითებებს მისცემს ოჯახებსა და ბავშვებს, რომლებიც სახლში დარჩნენ, მას შემდეგ, რაც მშობლები სოფლიდან ქალაქში წავიდნენ სამუშაოდ. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქვეყანაში 58 მილიონი ბავშვია დატოვებული, რაც სოფლად მცხოვრები ბავშვების საერთო რაოდენობის 30 პროცენტს შეადგენს. ამ ბავშვების 40 მილიონზე მეტი 14 წელზე ნაკლები ასაკისაა.

საუკეთესო პრაქტიკა:
ბავშვთა შრომის ძირეული მიზეზების გადაჭრა

4 თითოეული ბიზნესი ვალდებულია→→→

ჩვენს წარმოდგენაში, ეთი ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობა არის ძალიან ბევრის მიმართ ჩადენილი ძალადობების ეთი შემთხვევა.”

ბავშვები დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, 2005 წ, (გაეროს კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ)

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ბიზნეს საქმიანობის დროს, ბიზნეს ობიექტებისა და პერსონალის მხრიდან წარმოშობილი უსაფრთხოებისა და ბავშვთა დაცვის რისკებთან გამკლავება:

i. კომპანიის ობიექტები არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის, ექსპლუატაციის ან უფლებების დარღვევის მიზნით.

ii. კომპანიის ობიექტების პოტენციურად საშიში ადგილები არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის სამუშაო საათებში ან მის გარეთ.

iii. თანამშრომლებს მკაფიოდ უნდა აუხსნათ, რომ ბიზნესის ძალადობის, ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვრცელდება მთელ მის საქმიანობაზე, მაშინაც კი, როდესაც იგი ხორციელდება ბიზნეს ობიექტების გარეთ.

iv. მიიღეთ შესაბამისი ზომები, როდესაც ჩნდება შეშფოთება შესაძლო ძალადობის, ექსპლუატაციის ან დარღვევის შესახებ.

v. სამუშაოზე აყვანის მინიმალურ ასაკზე უფროსი ახალგაზრდა მუშაკები დაცული უნდა იყვნენ სახიფათო სამუშაოს შესრულებისაგან.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ბავშვთა დაცვის ქცევის კოდექსის შემუშავება და განხორციელება შეიმუშავეთ ბავშვთა დაცვის ქცევის კოდექსი ბიზნეს ოპერაციებისთვის. ქცევის კოდექსი გააცანით ყველას და გადაამზადეთ თანამშრომლები; თქვენს საქმიანობასთან, ბიზნესის ოპერაციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან საქმიანი ურთიერთობის გზით პირდაპირ დაკავშირებულ სუბიექტებს ურჩიეთ თავადაც შეიმუშაონ მსგავსი კოდექსი.

© UNICEF/NYHQ1991-0239/ToJTo/UNji

უზრუნველყოს ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება ბიზნეს საქმიანობის თითოეულ სფეროში და სამუშაო სივრცეში

© UNICEF/NYHQ2007-2695/Pirozzi

კარგი პრაქტიკა:
ბავშვთა დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან

სტუმართმოყვარეობისა და მოგზაურობის გლობალურმა კომპანიამ განახორციელა ყოვლისმომცველი სტრატეგია სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად და ცნობიერების ასამაღლებლად. კომპანია არის კოდექსის („მოგზაურობასა და ტურიზმში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის ქცევის კოდექსი”) წევრი. აღებული ვალდებულების ნაწილში, კოდექსი ხელმომწერებისგან მოითხოვს, რომ ყველა მომწოდებელი დაეთანხმოს ხელშეკრულებაში პუნქტს, რომ გმობს ბავშვთა კომერციულ, სექსუალურ ექსპლუატაციას. კომპანიას თანამშრომლების სასწავლო პროგრამებში შეტანილი აქვს ბავშვთა დაცვის სპეციალური ტრენინგი. 2011 წლის ბოლოდან, კომპანიამ დაიწყო სპეციალური შეტყობინებების დაგზავნა აშშ-ში გაცემულ ელექტრონულ სამგზავრო მარშრუტებზე, კონკრეტულ მიმართულებებზე, სადაც ბავშვთა ტრეფიკინგი და სექსუალური ექსპლუატაცია ყველაზე მეტად არის გავრცელებული. მოგზაურებს ასევე ეძლევათ სპეციალური ცხელი ხაზის ნომერი, სადაც შეუძლიათ დარეკონ, რათა დატოვონ შეტყობინება სექსუალური ექსპლუატაციის ან საეჭვო ქცევის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ. კომპანია ასევე მუშაობს პრობლემის ძირეული მიზეზების მოგვარებაზე, კერძოდ, იგი თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა ტრეფიკინგის აღმოფხვრაზე.

5 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

დააკვიჰდი ახა მხოღოდ გაყიდვებს, ახამედ ვინ ახის შენი პჰოდუქციის მომხმაჰებეღი. ყვეღა აუციღებეღი ძაღისხმევა გაიღე, ჰათა ხეღი შეუშაღო მაღაზიებს ბავშვებისთვის საზიანო პჰოდუქტების გაყიდვაში.

ახალგაზრდები ფილიპინებიდან, ბავშვთა კონსულტაციები ბავშვთა უფლებებისა და ბიზნესის პრინციპების ინიციატივაზე

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. უზრუნველყოფა იმისა, რომ იმ პროდუქციისა და სერვისების გატესტვა და კვლევა, რომელსაც მოიხმარენ ბავშვები, განხორციელდეს შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით.

ბ. უზრუნველყოფა იმისა, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილი და ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი პროდუქტები და სერვისები იყოს უსაფრთხო და არ გამოიწვიოს გონებრივი, ზნეობრივი თუ ფიზიკური ზიანი.

გ. იმ პროდუქტებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რაც არ არის სასარგებლო ბავშვებისთვის ან რომელმაც შეიძლება მათ მიაყენოს ზიანი; ამავე დროს, ყველა ამგვარი ქმედება უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, სტანდარტებისა, რომელიც ეხება დისკრიმინაციის დაუშვებლობას, გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციაზე წვდომას;

დ. ყველა გონივრული ნაბიჯის გადადგმა, რათა აღმოიფხვრას ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის მიმართ ყველა სახის დისკრიმინაცია პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების კუთხით;

ე. რისკების პრევენცია და აღმოფხვრა, როცა პროდუქტები და სერვისები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბავშვთა უფლებების რაიმე ფორმით დარღვევის, ექსპლუატაციის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით:

ა. ყველა აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა, რაც გაზრდის ბავშვთა სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის აუცილებელი პროდუქტებისა და სერვისების ხელმისაწვდომობას;

ბ. შესაძლებლობების მოძიება, რათა ბავშვთა უფლებები მხარდაჭერილი იყოს პროდუქტებისა და სერვისების მეშვეობით და მათი განაწილებისას.

© UNICEF/NYHQ2011-1314/DorMINo

უზრუნველყოს პროდუქტებისა და მომსახურებების უსაფრთხოება და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა მათი მეშვეობით

© UNICEF/NYHQ2009-0576/RamoNEDa

ამერიკულმა ავტომწარმოებელმა კომპანიამ თავის კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ბავშვებზე გაამახვილა. პროგრამა მხოლოდ ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზარდების უსაფრთხოების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედიატრებისგან, ფსიქოლოგებისგან, სტატისტიკოსებისგან, ეპიდემიოლოგებისა და ინჟინრებისგან შემდგარი მულტიდისციპლინური გუნდი ცდილობს უკეთ გაიგოს დაზიანების პრევენციის სირთულეები და მეცნიერება ყოვლისმომცველ, ეფექტურ ინტერვენციად აქციოს, რომელიც ბავშვის სიცოცხლეს გადაარჩენს. ამით კომპანია აღიარებს, რომ ბავშვები არ არიან მხოლოდ პატარა ზრდასრულები და რომ ზრდასრულთა დაზიანებების პრევენციის კვლევა ბავშვებზე არ შეიძლება იქნას გამოყენებული. შედეგად, პროგრამა ბავშვებისა და მოზარდების სპეციფიკურ საჭიროებებზეა ორიენტირებული. მაგალითად, ბავშვები ავტომობილებში მეორე და მესამე რიგების ძირითადი მგზავრები არიან, ამიტომ ავტომწარმოებლებმა მათთვის უსაფრთხოების სისტემების ოპტიმიზაცია უნდა მოახდინონ.

კარგი პრაქტიკა:
ბავშვებზე აქცენტის გაკეთება ავტო უსაფრთხოების უზრუნველყოფისას

6 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

ჩვენ ხედი უნდა შევუწყოთ საკუთარი თავის ჯანსაღი, ჰეადისტური იმიჯის წარმოჩენას. ზიდასრულები და მოზარდები ერთად უნდა მუშაობდნენ, ჩათა ხაზი გაუსვან გოგონებში სიდამაზეს, აღიარონ ერთმანეთის დადებითი მხარეები, რომელიც მხოლოდ გარეგნული იერი არ არის, მაგ. პატიოსნება, განათლება, კეთილსინდისიერება და გულუხვობა”

16-წლის გოგონა ირლანდიიდან, რომელიც ცხოვრობს აშშ-ში. მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა, 2011 წ,

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. უზრუნველყოფა იმისა, რომ კომუნიკაციამ და მარკეტინგმა არ მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ბავშვთა უფლებებზე
ეს ეხება ყველა მედია და საკომუნიკაციო ინსტრუმენტს. მარკეტინგმა არ უნდა გააძლიეროს დისკრიმინაცია. პროდუქტის ეტიკეტირება და მასზე დატანილი ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო, ზუსტი და სრული და მშობლებსა და ბავშვებს უნდა მისცეს საშუალება რომ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება. თუ გსურთ შეაფასოთ რამდენად მოახდენს ბავშვთა უფლებებზე თქვენი აქტივობები უარყოფით ზეგავლენას ან როცა კვლევის მიგნებების ინტეგრირება და მათზე რეაგირება გსურთ, გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები: ბავშვები უფრო მეტად არიან მგრძნობიარენი მანიპულაციის და სექსუალური სხეულის ფოტოებისა და სტერეოტიპების გამოყენების ეფექტის მიმართ.

ა. ბიზნესის ქცევის სტანდარტებთან შესაბამისობა „მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის ინსტრუმენტებში”, რომლებიც შეეხება სამედიცინო მარკეტინგს [10]
შეეცადეთ დაიცვათ ბიზნესის ქცევის სტანდარტები „მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის ინსტრუმენტებში”, რომლებიც შეეხება მარკეტინგსა და ჯანმრთელობას ყველა ქვეყანაში. თუ ეროვნულ კანონმდებლობაში უფრო მაღალი სტანდარტია გაწერილი, ბიზნესმა უნდა დაიცვას ეს სტანდარტი.

კორპორაციული პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია მხარდაჭერასთან, გულისხმობს შემდეგს:

ა. მარკეტინგული ღონისძიებების გამოყენება, რომელიც ზრდის ბავშვთა უფლებების, პოზიტიური თვითშეფასების, ჯანსაღი ცხოვრების სტილის და არაძალადობრივი ფასეულობების შესახებ ცნობიერებას.

© SAVE THE CHILDREN

[10] 10 მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის მარკეტინგისა და ჯანმრთელობის შესახებ ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს: დედის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსი (1981) და შემდგომში მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციები (ეროვნული ზომები მიღებულია მრავალ ქვეყანაში ორივეს ასამოქმედებლად); ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენცია (2003); ბავშვებისთვის საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების მარკეტინგის შესახებ რეკომენდაციების კრებული; და მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის გლობალური სტრატეგია ალკოჰოლის მავნე მოხმარების შემცირების შესახებ (2010).

გამოიყენოს მარკეტინგი და რეკლამა, რომელიც პატივს სცემს და მხარს უჭერს ბავშვის უფლებებს

© UNICEF/NYHQ2010-2453/DarMINo

ევროპულმა სარეცხი საპნის ბრენდმა თავისი მარკეტინგული კამპანია გამოიყენა ბავშვთა თამაშის, თვითგამოხატვის უფლების - მოკლედ, ბავშვობის უფლების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად! ის მოუწოდებს მშობლებს, დაინახონ აღმოჩენის, თამაშის, აქტიურობისა და ვარჯიშის, როგორც ბავშვის განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი და სრულფასოვანი და ჯანსაღი ცხოვრებისთვის აუცილებელი ღირებულება, მაშინაც კი, თუ ეს ნიშნავს, რომ ბავშვები ამ პროცესში ისვრებიან. მან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაუშვა სატელევიზიო რეკლამების სერია, რომელიც ხაზს უსვამს თამაშისა და აქტიური ცხოვრების წესის მნიშვნელობას.

საუკეთესო პრაქტიკა:
თამაშისა და აქტიური ცხოვრების პროპაგანდა

7 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

ყოველ წელს, ხუთ წლამდე ასაკის დაახლოებით სამი მილიონი ბავშვი იღუპება გარემოსთან-დაკავში ხებული დაავადებებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცი, გლობალური სამოქმედო გეგმა ბავშვთა ჯანმრთელობისა და გარემოს შესახებ (2010 – 2015 წწ.)

© SAVE THE CHILDREN

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ბავშვთა უფლებების პატივისცემა გარემოსთან ურთიერთობისას

i. გარემოსდაცვითი და რესურსების გამოყენების სტრატეგიების დაგეგმვისა და განხორციელებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ბიზნეს საქმიანობა უარყოფითად არ აისახოს ბავშვთა უფლებებზე, მათ შორის გარემოსთვის ზიანის მიყენების ან ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შემცირების გზით.

ii. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ბავშვთა, მათი ოჯახებისა და თემების უფლებები გათვალისწინებული იყოს საგანგებო გეგმებსა და ბიზნეს საქმიანობის შედეგად გარემოსა და ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებებში, მათ შორის, უბედური შემთხვევების დროს.

ბ. ბავშვთა უფლებების პატივისცემა, როგორც ადამიანის უფლებების განხილვის განუყოფელი ნაწილი, მიწის ბიზნეს საქმიანობისთვის შეძენის ან გამოყენებისას

i. სადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილეთ ან მინიმუმამდე დაიყვანეთ მიწის შეძენით ან მიწის ბიზნეს მიზნებისთვის გამოყენებით დაზარალებული თემების გადასახლება. აწარმოეთ შინაარსიანი, ინფორმირებული კონსულტაციები პოტენციურად დაზარალებულ თემებთან, რათა უზრუნველყოთ, რომ ბავშვთა უფლებებზე ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა დადგინდეს და გადაიჭრას; თემები აქტიურად მონაწილეობდნენ და წვლილი შეიტანონ მათზე პირდაპირ მოქმედ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში. მკვიდრი მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მიღება აუცილებელია ნებისმიერი პროექტისთვის, რომელიც გავლენას ახდენს მათ თემზე და ეს სასურველი მიზანია ნებისმიერი თემისთვის, რომელზეც გავლენას ახდენს კომპანიის მიერ მიწის გამოყენება ან შეძენა.

ii. განსახლების დაგეგმვისა და განხორციელებისას და კომპენსაციის უზრუნველყოფისას, პატივი ეცით ბავშვთა უფლებებს, განსაკუთრებით განათლების, დაცვის, ჯანმრთელობის, ადეკვატური საკვების და ადეკვატური ცხოვრების დონისა და მონაწილეობის უფლებას.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით გულისხმობს:

ა. ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა იმ გარემოსთან ურთიერთობისას, სადაც მომავალი თაობები იცხოვრებენ და გაიზრდებიან

მიიღეთ ზომები, რათა თანდათანობით შეამციროთ კომპანიის საქმიანობით გამოწვეული სასათბურე აირების გამოყოფა და წაახალისეთ რესურსების მდგრადი გამოყენება. გაითვალისწინეთ, რომ გარემოს გაუმჯობესების ეს ქმედებები და სხვა ინიციატივები მომავალ თაობებზე მოახდენს გავლენას. განსაზღვრეთ კატასტროფების რისკის პრევენციისა და შემცირების შესაძლებლობები და მხარი დაუჭირეთ თემებს კლიმატის ცვლილების შედეგებთან ადაპტაციის გზების პოვნაში.

პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ბავშვთა უფლებებს გარემოსთან, მიწის შეძენასა და სარგებლობასთან დაკავშირებით

© UNICEF/NYHQ2006-2608/KaMBEr

საუკეთესო პრაქტიკა:

სკოლის მოსწავლეები სწავლობენ ენერგო ეფექტურობას

წამყვანმა ინდურმა კომპანიამ განაცხადა, რომ სკოლებს და სკოლის მოსწავლეებს - ახალგაზრდებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, პარტნიორებთან და მთლიანად საზოგადოებასთან ერთად - შეუძლიათ დიდი წვლილის შეტანა ენერგიის ჭარბი მოხმარების შემცირებაში. რადგან ინდოეთში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა იზრდება და ენერგორესურსები სწრაფად იწურება, კომპანიამ მოუწოდა ახალგაზრდებს ჩაერთონ ენერგეტიკული კრიზისის თავიდან აცილების ინიციატივაში. 2007 წელს მან დაიწყო მუმბაიში, სკოლის მოსწავლეებში ენერგიის დაზოგვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ისინი აღჭურვა ყველა ინსტრუმენტითა და უნარებით, რაც მათ ამ ინფორმაციის ოჯახებთან და თემთან გასაზიარებლად სჭირდებათ. ინიციატივა გადაიზარდა ეროვნულ მოძრაობად, რომელშიც 250-ზე მეტი სკოლაა ჩართული და რომელმაც 1 მილიონზე მეტი მოქალაქე მოიცვ.

8 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

„ომი და პოლიტიკა ყოველთვის დიდების თამაშებია, თუმცა წაგებულები ყოველთვის ბავშვები გამოდიან.”

ელიზა კანტარდიჩი, 17, ბოსნია და ჰერცოგოვინა, გაეროს უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს სხდომა ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ, 2002 წ.

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ბავშვთა უფლებების პატივისცემა უსაფრთხოების უზრუნველყოფისას

i. უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას, იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები, აუცილებლად ჩაატარეთ ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ ნებისმიერ უარყოფით ზეგავლენას ბავშვთა უფლებებზე.

ii. დარწმუნდით რომ ბავშვთა უფლებების პატივისცემა განსაკუთრებით არის გათვალისწინებული ბიზნესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კონტრაქტებში.

iii. არ დაიქირაოთ ან გამოიყენოთ ბავშვები უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, არც პირდაპირ და არც კერძო თუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მეშვეობით.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით გულისხმობს:

ა. ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა უსაფრთხოების დაცვის პროცესებში
ყოველი ბიზნესი წახალისებულია გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა უსაფრთხოების სერვისების მართვაში, რომელსაც უზრუნველყოფენ კერძო კონტრაქტორები ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები.

© UNICEF/NYHQ2004-1163/LeMoYNE

პატივი სცეს და ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების დაცვას უსაფრთხოების ღონისძიებებში



© UNICEF/NYHQ2010-1152/aSSELIN

საუკეთესო პრაქტიკა:
უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები

2000 წელს, მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კომპანიების მიერ შეიქმნა ინიციატივა - „უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები”, რომელიც უზრუნველყოფს მითითებებს მომპოვებელი და ენერგეტიკული სექტორების ბიზნესებისთვის მათი ოპერაციების უსაფრთხოებისა და დაცვის შესახებ, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გათვალისწინებით. ნებაყოფლობითი პრინციპები წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთადერთ სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც სპეციალურად ნავთობის, გაზისა და სამთო კომპანიებისთვისაა შექმნილი. პრინციპები მოიცავს სამ კატეგორიას: რისკის შეფასება, საზოგადოების უსაფრთხოება და კერძო უსაფრთხოება. როგორც ნებაყოფლობით პრინციპებშია ნათქვამი: „მონაწილეები აღიარებენ ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მნიშვნელობას მთელ მსოფლიოში და იმ კონსტრუქციულ როლს, რომლის შესრულებაც შეუძლიათ ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას - მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფკავშირებს და ადგილობრივ თემებს - ამ მიზნების მიღწევაში“.

9 თითოეული ბიზნესი ვალდებულია →→→

კომპანიები მუდმივად უნდა ფიქრობდნენ საგანგებო სიტუაციების შესახებ და არა მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარი სიტუაცია დადგება. ეს ნიშნავს, რომ კომპანიებს უნდა ჰქონდეს პროგრამა/გეგმა ზიანის შემცირებისა და შერბილებისათვის.”

ახალგაზრდები ბრაზილიაში, კონსულტაციები ბავშვებთან ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის პრინციპების ინიციატივის შესახებ.

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. ბავშვთა უფლებების პატივისცემა საგანგებო სიტუაციების კონტექსტში

საგანგებო სიტუაციების კონტექსტში თავიდან აიცილეთ ბავშვთა უფლებების დარღვევა ან დარღვევის ხელშეწყობა. აღიარეთ შეიარაღებული კონფლიქტისა და სხვა საგანგებო სიტუაციების კონტექსტში ადამიანის უფლებების დარღვევის გაზრდილი რისკი და შესაბამისად, განახორციელეთ ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება. გაითვალისწინეთ, რომ საგანგებო სიტუაციებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ბავშვთა უფლებებზე ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების რისკი და რომ ბავშვთა გარკვეული ჯგუფები შეიძლება უფრო დაუცველი იყვნენ, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები, ოჯახიდან განცალკევებული და თანმხლები პირების გარეშე დარჩენილი ბავშვები და ადგილობრივი ბავშვები, და რომ გოგონები და ბიჭები შეიძლება სხვადასხვაგვარად დაზარალდნენ.

კორპორაციული aკორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით გულისხმობს:

i. დაეხმარეთ ბავშვებს, რომელთა უფლებები დაირღვა საგანგებო სიტუაციების გამო, გაზარდეთ ცნობიერება ამგვარ სიტუაციებში თანამშრომლებსა და თემის წევრებში ძალადობის გაზრდილი რისკების, უფლებათა დარღვევის და ბავშვთა ექსპლუატაციის თაობაზე.

ii. როცა საჭიროა და მოითხოვება, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაეხმარეთ ადგილობრივ უწყებებსა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისას. დახმარება უნდა დაეფუძნოს შეფასებულ საჭიროებას და ანგარიშვალდებულებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

iii. პოზიტიური წვლილი შეიტანეთ მდგრად მშვიდობასა და განვითარებაში.[11]

© UNICEF/NYHQ2006-1679/Brooks

[11] მაგალითისთვის იხილეთ, გაეროს გლობალური შეთანხმების ერთობლივი პუბლიკაცია - „პასუხისმგებლიანი ინვესტიციების პრინციპები'' , „მითითებები პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის კონფლიქტის და მაღალი რისკის რეგიონებში: რესურსი კომპანიებისა და ინვესტორებისათვის, , 2010. http://www.unglobalcompact.org/Issues/conflict_prevention/guidance_material.html

დაეხმაროს საგანგებო სიტუაციებით დაზარალებულ ბავშვებს

© UNICEF/NYHQ2010-0891/JErry

საუკეთესო პრაქტიკა:
უნარებზე-დაფუძნებული განათლება ლტოლვილი ბავშვებისთვის

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ, რომელსაც პროექტების მართვის დიდი გამოცდილება აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად თანამშრომლობით, განიზრახა ლტოლვილი ბავშვებისთვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდება. ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა აღმოსავლეთ ჩადში დაახლოებით 30 000 ლტოლვილი ბავშვისთვის უნარებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა იყო. გამოიყენა რა საკუთარი გამოცდილება მართვის სფეროში, კომპანია საერთაშორისო ორგანიზაციას დაეხმარა განესაზღვრა თუ რა ქმედებები იყო საჭირო, რა იქნებოდა შედეგი და როგორ უნდა შეფასებულიყო პროგრესი. მთავარი გამოწვევა ის არის, რომ ადგილზე მიმდინარე კონფლიქტი და არასტაბილური ვითარება ართულებს მდგრადი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას და ბავშვებისთვის შესაბამისი სასწავლო გეგმით უზრუნველყოფას თანმიმდევრული პერიოდის განმავლობაში. პროგრამაში მონაწილეობის კითხვარები მიზნად ისახავს ბავშვთა დაცვის ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას, რათა ხელი შეუწყოს მათ მოგვარებას ინიციატივის ფარგლებში. კომპანია ასევე მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ.

10 თითოეული ბიზნესი ვალდებულია→→→

“ეითად, ჩვენ ავაშენებთ სამყაროს, სადაც გოგონებსა და ბიჭებს ექნებათ ბავშვობა - თამაშის და სწავლის დრო, სადაც ისინი ეყვარებათ, პატივს სცემენ და აღმეფითებენ; მათი უფლებები დაცულია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე...”

‘ ბავშვებზე მორგებული სამყარო’, გაეროს გენერალური ასამბლეა, 11 ოქტომბერი, 2002 წ.

კორპორაციული პასუხისმგებლობა პატივისცემასთან დაკავშირებით გულისხმობს შემდეგს:

ა. არ შეუშალოთ ხელი მთავრობის ძალისხმევას ბავშვთა უფლებების დაცვისა და შესრულების მიმართულებით. აღიარეთ, რომ კანონის უზენაესობის პატივისცემა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის გამოყენება, მათ შორის შემოსავლების გენერირების მიზნით გადასახადების გადახდა, აუცილებელია მთავრობებისთვის ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის.

კორპორაციული პასუხისმგებლობა მხარდაჭერასთან დაკავშირებით გულისხმობს:

ა. მთავრობის ძალისხმევის მხარდაჭერა ბავშვთა უფლებების დაცვასა და რეალიზებაში.

ბ. სტრატეგიული სოციალური საინვესტიციო პროგრამების განხორციელება ბავშვებისთვის.

წვლილი შეიტანეთ მოქმედი პროგრამების განხორციელებაში ან დაგეგმეთ და განახორციელეთ სოციალური საინვესტიციო პროგრამები მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბავშვებთან ერთად. ჯანდაცვა, განათლება, რეკრეაცია, ბავშვთა დაცვა და ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების თაობაზე, თავად ბავშვების და ბავშვთა უფლებების ექსპერტების მიერ არის გამოვლენილი, როგორც პრიორიტეტული საკითხები.

© UNICEF/NYHQ1999-0859/LeMoyNE

გააძლიეროს საზოგადოებრივი და მთავრობების ძალისხმევა ბავშვის უფლებათა დასაცავად და განსახორციელებლად

© UNICEF/NYHQ2009-1926crop/Pirozzi

საუკეთესო პრაქტიკა:

თანამშრომლები მხარს უჭერენ ბავშვის უფლებას განათლებაზე

წამყვანმა გლობალურმა ფინანსურმა ინსტიტუტმა ვალდებულება აიღო, რომ განათლების გაუმჯობესებაზე იზრუნებდა გლობალურ დონეზე და რომ მხარს დაუჭერდა „ათასწლეულის განვითარების მიზნების” შესრულების ძალისხმევას, რათა ყოველ ბავშვს ჰქონდეს წვდომა საბაზისო განათლებაზე. თანამშრომლები არიან პროგრამის წარმატების ქვაკუთხედი. 2005 წლიდან დაწყებული, კომპანიამ საკუთარი დრო და ფული გაიღო პროექტებისთვის, რომელთა მიზანი იყო უამრავი ადგილობრივი ბავშვის მხარდაჭერა. ფინანსურ ინსტიტუტს ამ ძალისხმევაში წვლილი შეაქვს საკუთარი დონაციებით. დღესდღეობით, ჯამში 13 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი საგანმანათლებლო პროექტებისთვის.

ბავშვის უფლებათა კონვენციის შეჯამება

ქვემოთ მოცემულია კონვენციის არაოფიციალური შეჯამება. კონვენციის სრული ვერსია და მისი დამატებითი ოქმები იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/

პრეამბულა
პრეამბულაში ჩამოთვლილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ხელშეკრულებებისა და დეკლარაციების კონკრეტული დებულებები. პრეამბულა ადასტურებს, რომ ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და მზრუნველობა და ამ მიზნით ყურადღებას ამახვილებს ბავშვის მიმართ ოჯახის განსაკუთრებულ ზრუნვასა და პასუხისმგებლობაზე. პრეამბულა ასევე ადასტურებს ბავშვის დაცვის სამართლებრივი თუ სხვა სახის მექანიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ, იმ საზოგადოების კულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემას, რომელშიც ბავშვი იზრდება, და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას.

მუხლი 1
ბავშვის ცნება: ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში.

მუხლი 2
დისკრიმინაციის დაუშვებლობა. კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დასაცავად.

მუხლი 3
ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის შესაბამისი დაცვა და მისი ჭეშმარიტი ინტერესების რეალიზება თუ ბავშვის მშობლები ან ის პირები, რომელთაც მისი დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მუხლი 4
ბავშვის უფლებათა განხორციელება. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის.

მუხლი 5
ოჯახში აღზრდა და ბავშვის მზარდი შესაძლებლობანი. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მშობლებისა და იმ პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბავშვის აღზრდასთან მისი მზარდი შესაძლებლობების გამოვლენის სხვადასხვა ეტაპზე.

მუხლი 6
სიცოცხლისა და განვითარების უფლება. ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება.

მუხლი 7
სახელი და მოქალაქეობა. ბავშვს დაბადებისთანავე გააჩნია უფლება ჰქონდეს სახელი. ბავშვს ასევე აქვს უფლება მიიღოს მოქალაქეობა და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იცნობდეს თავის მშობლებს და მათი მზრუნველობით იყოს გარემოსილი.

მუხლი 8
ინდივიდუალობის შენარჩუნება. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვის ინდივიდუალობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს ბავშვის ინდივიდუალობის ძირითადი ასპექტების აღდგენა, სახელის, მოქალაქეობისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით.

მუხლი 9
მშობლებისგან განცალკევება. ბავშვს უფლება აქვს იცხოვროს თავის მშობლებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს. ბავშვს ასევე აქვს უფლება შეინარჩუნოს პირადი ურთიერთობა ორივე მშობელთან, ერთ-ერთ მათგანთან თუ ორივესთან განცალკევების შემთხვევაში.

მუხლი 10
ოჯახის გამთლიანება. ბავშვებსა და მათ მშობლების უფლება აქვთ დატოვონ ნებისმიერი სახელმწიფო და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში ოჯახის გამთლიანების ან ბავშვსა და მშობლებს შორის პირადი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 11
უკანონოდ გადაადგილება და გატაცება. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი აღმკვეთი ზომები ერთ-ერთი მშობლის ან მესამე პირების მიერ ბავშვის მოტაცებისა და საზღვარგარეთ დაკავების წინააღმდეგ.

მუხლი 12
ბავშვის შეხედულებები. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ამ შეხედულებებს ანგარიში უნდა გაეწიოს ბავშვის ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას.

მუხლი 13
აზრის თავისუფლად გამოხატვა. ბავშვს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, საზღვრების არსებობის მიუხედავად.

მუხლი 14
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით, მშობლების მხრიდან შესაბამისი ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

მუხლი 15
ასოციაციათა თავისუფლება. ბავშვს უფლება აქვს შეხვდეს სხვა ადამიანებს, დააფუძნოს ასოციაცია ან გახდეს ამა თუ იმ უკვე არსებული ასოციაციის წევრი.

მუხლი 16
პირადი ცხოვრების დაცვა. ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფისაგან.

მუხლი 17
ინფორმაციის მისაწვდომობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობა, წაახალისოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელება, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, და მიიღოს ზომები იმ სახის ინფორმაციისაგან ბავშვის დასაცავად, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის.

მუხლი 18
მშობლეთა ვალდებულებები. მშობლები ერთობლივად აგებენ პასუხს ბავშვის აღზრდაზე და ამ მხრივ ისინი სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ. სახელმწიფო ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მშობლებს ბავშვების აღზრდაში.

მუხლი 19
დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უხეში მოქცევისაგან და შექმნას შესაბამისი სოციალური პროგრამები ძალადობის აღკვეთისა და დაზარალებულთა მკურნალობის მიზნით.

მუხლი 20
ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვის დაცვა. სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებულად დაიცვას ბავშვი, რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს და შეუქმნას მას მშობლიური გარემოს ტოლფასი ალტერნატული გარემო ან მოათავსოს შესაბამის დაწესებულებაში. აღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელებისას აუცილებელია ბავშვის კულტურული კუთვნილების გათვალისწინება.

მუხლი 21
გაშვილება. სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია ან ნებადართულია შვილად აყვანა, გაშვილება უნდა მოხდეს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესთა გათვალისწინებითა და კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 22
ლტოლვილი ბავშვები. სახელმწიფომ განსაკუთრებული მფარველობა და მზრუნველობა უნდა გაუწიოს ლტოლვილ და ლტოლვილის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვებს. სახელმწიფო ვალდებულია ითანამშრომლოს კომპეტენტურ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოწოდებული არიან ამგვარი დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 23
უნარშეზღუდული ბავშვები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს უფლება აქვს სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, მიიღოს განსაკუთრებული განათლება და მომზადება, რათა შეძლოს სრულფასოვნად და ღირსეულად ცხოვრება ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და სოციალურ ინტეგრაციას.

მუხლი 24
ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება. ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს სამედიცინო დახმარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რეალურად შესაძლებელ უმაღლეს სტანდარტებს. სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ბავშვის პირველადი და პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებით, სამედიცინო განათლებით უზრუნველყოფაზე და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაზე. ამ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და მიიღოს ყველა ზომა, რათა არც ერთი ბავშვი არ იყოს მოკლებული შესაბამის სამედიცინო მომსახურებას.

მუხლი 25
მეურვეობაში მყოფი ბავშვის მდგომარეობის პერიოდული შეფასება. ბავშვს, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამწესებულია სამეურვეოდ მისი მოვლის, დაცვისა თუ მკურნალობის მიზნით, უფლება აქვს, პერიოდულად მოხდეს ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული პირობების შეფასება.

მუხლი 26
სოციალური დაცვა. ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

მუხლი 27
ცხოვრების სათანადო დონე. ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ბავშვს შეექმნას ცხოვრების სათანადო დონე. სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის. სახელმწიფოს ვალდებულება შესაძლოა ითვალისწინებდეს მშობლებისა და მათი შვილების მატერიალურ დახმარებას.

მუხლი 28
განათლება. ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება და სახელმწიფო ვალდებულია ამ უფლების რეალიზაციისათვის უზრუნველყოს უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება, საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმის და, შესძლებლობათა გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

მუხლი 29
განათლების მიზანი. განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისაკენ. განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის, ჩაუნერგოს მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა, ასევე სხვათა კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა.

მუხლი 30
ბავშვები, რომლებიც განეკუთვნებიან ეროცნულ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას. ბავშვს, რომელიც განეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას, უფლება აქვს ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და ისარგებლოს დედაენით.

მუხლი 31
თავისუფალი დრო, დასვენება და კულტურული ცხოვრება. ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს თავისუფალი დროით, აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 32
ბავშვის შრომა. ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის, ხელს უშლიდეს ბავშვს განათლების მიღებაში, საერთოდ, განვითარებაში. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომით პირობებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 33
ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენება. ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გამოყენებისაგან, ასევე ამგვარ ნივთიერებათა წარმოებასა და გავრცელებაში მონაწილეობისაგან.

მუხლი 34
სექსუალური ექსპლუატაცია. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისაგან და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის ჩათვლით.

მუხლი 35
ვაჭრობა, კონტრაბანდა და გატაცება. სახელმწიფოს მოვალეობაა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა და მათი კონტრაბანდა.

მუხლი 36
ექსპლუატაციის სხვა ფორმები. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ყველა სახის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ემუქრება ბავშვის კეთილდღეობას და რომელიც არ არის აღნიშნული კონვენციის 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლებში.

მუხლი 37
წამება და თავისუფლების აღკვეთა. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს წამების, სასტიკი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი, უკანონო დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის ობიექტი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო. თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან.

მუხლი 38
შეიარაღებული კონფლიქტები. მონაწილე სახელმწიფოები უნდა იღებდნენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში. 15 წლის ასაკს მიუღწეველი არც ერთი ბავშვი არ შეიძლება გაიწვიონ შეიარაღებულ ძალებში.
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 39
რეაბილიტაცია. სახელმწიფო ვალდებულია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, წამებისა თუ სხვაგვარი ძალადობის, ცუდი მოპყრობისა თუ ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი უზრუნველყოს შესაბამისი მკურნალობით მისი გამოჯანმრთელებისა და სოციალური ინტეგრაციის მიზნით.

მუხლი 40
სამართლებრივი ზომები კანონისდამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ. ბავშვს, რომელმაც კანონი დაარღვია, უფლება აქვს მოექცნენ იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს მისი ღირსების გრძნობის გაძლიერებას, გათვალისწინებული იქნეს ბავშვის ასაკი და მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მიმართული იყოს საზოგადოებაში მისი ინტეგრირებისაკენ. ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს მთელი რიგი გარანტიებით, ასევე სამართლებრივი და სხვა სახის დახმარებით დაცვის დროს. არასრულწლოვანებთან მიმართებაში შეძლებისამებრ თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო განხილვა და თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებათა განხორციელება.

მუხლი 41
უმაღლეს ნორმათა პრიორიტეტულობა. იმ შემთხვევვაში, თუ მონაწილე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობით ან ამ სახელმწიფოში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც უფრო მეტად უწყობენ ხელს ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას მოცემულ კონვენციასთან შედარებით, გამოიყენება სწორედ ის ნორმები, რომლებიც უკეთ გამოხატავს და იცავს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

მუხლები 42–54
კონვენციის განხორციელება და ძალაში შესვლა. ეს მუხლები ითვალისწინებენ შემდეგს:
- ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია ფართოდ გააცნოს როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს მოცემული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.
- კონვენციის თანახმად იქმნება სპეციალური ორგანო - ბავშვის უფლებების კომიტეტი ათი ექსპერტის შემადგენლობით, რომელიც განიხილავს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ ანგარიშებს კონვენციის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის თაობაზე. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან წარუდგინონ კომიტეტს ამგვარი მოხსენებები რატიფიკაციიდან ორი წლის შემდეგ და ყოველი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. კონვენცია ძალაში შედის - და შესაბამისად იქმნება კომიტეტი - მას შემდეგ, რაც კონვენცია რატიფიცირებული იქნება ოცი სახელმწიფოს მიერ.
- მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყონ თავიანთ მოხსენებათა ფართო საჯაროობა.
- კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკულ საკითხთა შესასწავლად საგანგებო კვლევათა ჩატარება და მოპოვებულ მასალათა გაცნობა დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისათვის.
- "კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით" სპეციალიზებულ დაწესებულებებს, როგორებიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF), უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის სხდომებში. სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან ერთად, რომელიც "კომპეტენტურად" ითვლება, გაეროში კონსულტაციური სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორიცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), ჩათვლით, უფლება აქვთ კომიტეტს წარუდგინონ შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაცია კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

თითოეული ბიზნესი ვალდებულია

1. შეასრულოს საკუთარი პასუხისმგებლობა, პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და აიღოს ბავშვების ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულება
2. წვლილი შეიტანოს ბავშვთა შრომის აღმოფხვრაში, მათ შორის, საკუთარ ბიზნეს საქმიანობაში და ბიზნეს ურთიერთობებში
3. ახალგაზრდებს, მშობლებს და მზრუნველებს შესთავაზოს ღირსეული სამუშაო
4. უზრუნველყოს ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება ბიზნეს საქმიანობის თითოეულ სფეროში და სამუშაო სივრცეში
5. უზრუნველყოს პროდუქტებისა და მომსახურებების უსაფრთხოება და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა მათი მეშვეობით
6. გამოიყენოს მარკეტინგი და რეკლამა, რომელიც პატივს სცემს და მხარს უჭერს ბავშვთა უფლებებს
7. პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ბავშვთა უფლებებს გარემოსთან, მიწის შეძენასა და სარგებლობასთან დაკავშირებით
8. პატივი სცეს და ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების დაცვას უსაფრთხოების ღონისძიებებში
9. დაეხმაროს საგანგებო სიტუაციებით დაზარალებულ ბავშვებს
10. გააძლიეროს საზოგადოებრივი და მთავრობების ძალისხმევა ბავშვის უფლებათა დასაცავად და განსახორციელებლად